შენ ისლამი მიიღე იმ კეთილ საქმეებთან ერთად, რაც ადრე გაგიკეთებია

გადმოცემულია ჰაქიიმ იბნ ჰიზაამისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), მან თქვა: "ვკითხე: ო, ალლაჰის შუამავალო, მე რაღაც საქმეებს ვაკეთებდი ჯაჰილიაში (ისალმამდე პერიოდში), როგორიცაა საქველმოქმედო შემოწირულობები, მონების გათავისუფლება და ნათესავებთან ურთიერთობის შენარჩუნება. მაქვს ამ საქმეებისგან რაიმე მადლი?" ალლაჰის მოციქულმა ალლაჰის (ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა: «შენ ისლამი მიიღე იმ კეთილ საქმეებთან ერთად, რაც ადრე გაგიკეთებია».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვიხსნის, რომ ურწმუნო თუ ისლამს მიიღებს, დაჯილდოვდება იმ კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც მან ისლამამდე პერიოდში (ჯაჰილიაში) აკეთა, როგორიცაა საქველმოქმედო შემოწირულობები, მონების გათავისუფლება და ნათესავებთან ურთიერთობების შენარჩუნება.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65016